დანართი №1

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) საუნივერსიტეტო დაფინანსების კანდიდატთა შერჩევის წესი

1. საუნივერსიტეტო დაფინანსება ითვალისწინებს:

ა) ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთა სემესტრულ დაფინანსებას შერჩევის საფუძველზე, უნივერსიტეტში წინა სემესტრში მიღებული აკადემიური შედეგების გათვალისწინებით.

ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგად უნივერსიტეტის მაგისტრატურის სტუდენტთა საგანმანათლებლო პროგრამების სემესტრულ დაფინანსებას შერჩევის საფუძველზე, სტუდენტთა უნივერსიტეტში წინა სემესტრში მიღებული აკადემიური შედეგების გათვალისწინებით.

2. საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის შესარჩევ კანდიდატთა შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც გამოითვლება სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში წინა სემესტრში გავლილი პროგრამით გათვალისწინებულ საგნებში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით. სტუდენტს წინა სემესტრში დაგროვილი უნდა ჰქონდეს არანაკლებ 30 კრედიტისა.

3. მაგისტრატურის პირველი სემესტრის სტუდენტების შეფასება ხდება უნივერსიტეტის მიერ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის დაწესებულ გამოცდაზე, სტუდენტის მიერ კონკრეტულ სამაგისტრო პროგრამაზე შესაბამის სპეციალობაში მიღებული ქულების (არანაკლებ 81 ქულისა) საფუძველზე.

4. საუნივერსიტეტო დაფინანსება არ გაიცემა:

ა) სტუდენტებზე რომლებსაც მოპოვებული აქვთ სახელმწიფო სასწავლო გრანტის/სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის სრული ოდენობა. ნაწილობრივი ოდენობის შემთხვევაში საუნივერსიტეტო დაფინანსება გაიცემა მის პროპორციულად, სწავლის საფასურის სრულად შესავსებად.

ბ) ბაკალავრიატის პირველი სემესტრის სტუდენტებზე.

გ) დამატებითი სემესტრის სტუდენტებზე.

დ) სტუდენტებზე რომლებსაც სრულად არ აქვთ დაფარული წინა სემესტრის სწავლის საფასური.

5. საუნივერსიტეტო დაფინანსების აბსოლუტური სიდიდე თითოეულ ფაკულტეტზე ნაწილდება უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით, უნივერსიტეტის პოლიტიკიდან გამომდინარე ფაკულტეტების წარდგინებით რექტორის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების მიხედვით, თითოეულ ფაკულტეტზე წინა სემესტრში აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით.

6. კონკრეტული ფაკულტეტისათვის განაწილებული საუნივერსიტეტო დაფინანსებიდან ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხის ოდენობას განსაზღვრავს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტი.
7. უნივერსიტეტში წინა სემესტრში გავლილი პროგრამით გათვალისწინებულ საგნებში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშების შედეგად ორი ან მეტი ყველაზე დაბალი ქულის მქონე სტუდენტის მიერ იდენტური შედეგის არსებობის შემთხვევაში თანაბრად იყოფა სტუდენტების შესაბამის რაოდენობაზე.
8. ამ დანართის მე–2 პუნქტით დადგენილი შეფასების შესაბამისად შერჩეულ საუნივერსიტეტო დაფინანსების კანდიდატთა სიას უნივერსიტეტის ფაკულტეტები კანდიდატთა შესარჩევ კომისიას წარუდგენენ შესაბამისი სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის დასრულებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა.
9. კანდიდატთა შესარჩევი კომისია განიხილავს ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილ საუნივერსიტეტო დაფინანსების კანდიდატ სტუდენტთა სიებს და უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს საუნივერსიტეტო დაფინანსების კანდიდატთა ერთიან სიას.
10. საუნივერსიტეტო დაფინანსებაზე მყოფ სტუდენტთა ერთიანი სია მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით.